



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება #62

2015 წლის 30 ივლისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ მადაროსკარში არსებული, ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე ორი ოთახის (ს/კ 71.60.28.025) არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი „ტასო“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით პროექტის ვადის ფარგლებში კერძოდ 2015 წლის 31 დეკემბრამდე გადაცემის შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი „ტასო“-ს საინიციატივო ჯგუფის წევრების, სათემო მუშაკების: 1) ირმა ბუთხაშვილის (პ/ნ 16001000772), 2) ლეილა ნათობიშვილი (პ/ნ 16001005574), 3) ზაირა სუარიშვილი (პ/ნ 16001008429) 2015 წლის 08 ივლისის განცხადება #3087/ე-ს საფუძველზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის მე-2 მე-4 და მე-5 ნაწილების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი „ტასო“-ს უსასყიდლოდ სარგებლობაში (უზუფრუქტის ფორმით) გადასცეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, სოფელ მადაროსკარში მდებარე ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.60.28.025) მეორე სართულზე განთავსებული ორი ოთახი 15 კვ.მ. და 30 კვ.მ. საოფისე ფართი.

2. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი